ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომის

ო ქ მ ი N1

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65 24 თებერვალი, 2020 წელი

14:00 საათი

ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომას თავმჯდომარეობდა ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე - გიორგი ივანიაძე.

სხდომას ესწრებოდა ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 14 წევრი: გიორგი ივანიაძე, სალომე ფახურიძე, მიხეილ სვანაძე, ლელა ჩიკვაიძე, მარინა ღვინიანიძე, ნატო დვალიშვილი, გვანცა სიგუა, თამთა დვალიშვილი, მიხეილ სვანაძე, თამარ შენგელია, ნათია ძოძუაშვილი, ეთერი ჭიჭინაძე, აპოლონ რამიშვილი.

/დანართი: N1/

საპატიო მიზეზით სხდომას არ ესწრებოდნენ: ალექსანდრე ლილუაშვილი, გონერი მეფარიშვილი, ივანე მამფორია, გელა ჩიკვაიძე, ნიკოლოზ დვალიშვილი, მამუკა ნამიჭეიშვილი, ტარიელ ბარამიძე, ნანა ლილუაშვილი, თამარ ძნელაძე.

სხდომას უძღვებოდა ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე-გიორგი ივანიაძე. მან სხდომა გახსნილად გამოაცხადა და გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებს სხდომის დღის წესრიგი გააცნო:

დღის წესრიგი

1. 2020 წლის მარტის თვეში დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მოსმენა;

მომხს: /სალომე ფახურიძე/

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

1. გენდერული თანასწორობის საბჭოს დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გენდერული საბჭოს მდივანმა-სალომე ფახურიძემ საბჭოს წევრებს გააცნო ინფორმაცია მარტის თვეში დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ. „მოგეხსენებათ 3 მარტს-დედის დღეა, 8 მარტს-ქალთა საერთაშორისო დღე, შესაბამისად უნდა დავგეგმოთ ისეთი ღონისძიება, რომელიც განსხვავებული იქნება, ასევე 21 მარტს-დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით უნდა დავგეგმოთ შესაბამისი აქტივობა.

აზრი გამოთქვა: ლელა ჩიკვაიძემ აღნიშნა, რომ კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით დაგეგმილია 8 მარტს-ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, ვანის მუნიციპალიტეტის მასშტაბით შევარჩევთ 4 ნომინაციას:

1. „უხუცეი ექთანი“;
2. „სტაჟიანი მეეზოვე ქალი“;
3. „ყველაზე ახალგაზრდა მრავალშვილიანი დედა“
4. „სტაჟიანი პედაგოგი“

აღნიშნულ ნომინაციაში გამოვლენილ ქალბატონებს გადავცემთ შესაბამის სიმბოლურ საჩუქრებს.

აზრი გამოთქვა: გენდერული საბჭოს წევრმა-თამარ შენგელიამ, აღნიშნა, რომ „უმჯობესია მუნიციპალიტეტში მცხოვრებ გმირების დედებს მივულოცოთ და გადავცეთ სიმბოლური საჩუქრები.

აზრი გამოთქვა: სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ივანიაძემ, რომელმაც მოიწონა აღნიშნული ინიციატივა და დაამატა, რომ „ვანის მუნიციპალიტეტის მასშტაბით აგვისტოს ომში და ავღანეთში დაღუპული გმირების დედებს, გადავცემთ სიმბოლურ საჩუქრებს, ეს ქალბატონები ჩვენის მხრიდან

ემსახურებენ განსაკუთრებულ პატივისცემას დედის და ქალთა დღე კი სიმბოლური გამოხატულება უდა იყოს ჩვენი მათდამი დამოკიდებულებისა, რასაც დაეთანხმა საბჭო.

აზრი გამოთქვა: გენდერული საბჭოს მდივანმა-სალომე ფახურიძემ „მსგავსი ტიპის ღონისძიებები მომავალშიც უნდა გაგრძელდეს და გაცილებით უფრო მასშტაბურ ფორმატში აღინიშნოს, ასევე მნიშვნელოვანია, რომ ვანის მუნიციპალიტეტში მოღვაწე სხვადასხვა სფეროში წარსულში მოღვაწე ქალბატონების სახელის წარმოჩენა, რომლებმაც თავიანთი წვლილი შეიტანეს სხვადასხვა სფეროს განვითარებისთვის. მათი სახელის უკვდავსაყოფად კი ისეთი აქტივობები უნდა განვახორციელოთ, რომლებიც ხელს შეუწყობს მათ პოპულარიზაციას და თაობებში მათი სახელების უკვდავყოფას.

საბჭომ განიხილა პირველი საკითხი და კენჭი უყარა.

მომხრე -12

წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს: 2020 წლის მარტის თვეში დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მოსმენა;

საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ-გიორგი ივანიაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

გიორგი ივანიაძე ----------

ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მდივანი

სალომე ფახურიძე ----------

24.02.2020 წ.